

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა

ალი ღაბითიანი

გარეგანი სახეობის გამომხატველი სვანური ლექსიკის ძირითადი ნაწილია. ესაა ზუსტი შედარების სიტყვები, რომლებსაც ობიექტის გარშემო სუბიექტის წარმოდგენა ქმნის. მიღებული შთაბეჭდილება საგნის მოძრაობა-მოქმედების მეორეულ სახედ გამოიყურება. საგანი თუ მოვლენა ისეა წარმოდგენილი, როგორცაა სუბიექტის აღქმაში. ამგვარად ხილული თუ გაგონილი საგანი და მოვლენა მეტყველის ცნობიერებაში ობიექტთან დაკავშირებულ სახეს ქმნის. საგნისა თუ მოძრაობა-მოქმედების ანარეკლი, აჩრდილი-სახე იმდენად ზუსტი და გარკვეული უნდა იყოს, რამდენად იგი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს, ხოლო მის აღმქმელ სუბიექტს კი მეორე მხრივ.

გარეგანი სახეობის გამომხატველი სიტყვები სვანური ლექსიკის ძირითადი ნაწილია. ესაა ზუსტი შედარების სიტყვები, რომლებსაც ობიექტის გარშემო სუბიექტის წარმოდგენა ქმნის. მიღებული შთაბეჭდილება საგნის მოძრაობა-მოქმედების მეორეულ სახედ გამოიყურება. საგანი თუ მოვლენა ისეა წარმოდგენილი, როგორცაა სუბიექტის აღქმაში. ამგვარად ხილული თუ გაგონილი საგანი და მოვლენა მეტყველის ცნობიერებაში ობიექტთან დაკავშირებულ სახეს ქმნის. საგნისა თუ მოძრაობა-მოქმედების ანარეკლი, აჩრდილი-სახე იმდენად ზუსტი და გარკვეული უნდა იყოს, რამდენად იგი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს, ხოლო მის აღმქმელ სუბიექტს კი მეორე მხრივ.

გარეგანი სახეობის გამომხატველი ლექსიკა მრავალ შემთხვევაში დაკავშირებული ჩანს ხმაბაძვით ნიადაგზე აღმოცენებულ ლექსიკასთან. ამდენად ხმაბაძვით სიტყვებთან ერთად ე. წ. სახოვან სიტყვებზედაც მსჯელობა რეალურია. ხმაბაძვითი სიტყვები ერთ შემთხვევაში ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას უკავშირდება, მეორე შემთხვევაში (იგივე ხმაბაძვითები) გარკვეულ ვითარებაში საგნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობასაც გამოხატავენ. უკანასკნელ შემთხვევაში კი მათი ხმარების შეგრძნება წაშლილი ჩანს და მას სცვლის ობიექტის გარეგანი სახეობის შინაარსი თავის ფუნქციებით. ხმაბაძვითი სიტყვები იმდენადაა ამოსავალი სახოვან სიტყვებისათვის, რამდენადაც უკანასკნელთა ჩამოყალიბება ხმაბაძვითების შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. ხმაბაძვითების სამეტყველო კანონზომიერება სახოვან სიტყვებზედაც ვრცელდება. სვანური ენა სიტყვათა ამ ორივე წყებას გარკვეულ ურთიერთობასა და მიმართებაში იყენებს, რომელშიაც ერთიანობაც შეიმჩნევა და განსხვავებულობაც. ორივესთვის საერთოა ობიექტური მონაცემების სუბიექტური გააზრება. ხოლო განსხვავებაზე ლაპარაკი იმდენად შეიძლება, რამდენადაც ერთის ამოსავალი აკუსტიკური შთაბეჭდილებაა, მეორისა კი — ოპტიკური. თვალი და ყური პირველ რიგში, აი ის ორი ძირითადი ორგანო, რომლებიც მეტყველების ამ ნაწილში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ. სიტყვათა ეს ორი წყება ზოგჯერ იმდენად ახლო ურთიერთობაშია, რომ ფუნქციების მონაცვლეობა და ერთმანეთში აღრევაც იშვიათი არ არის. მით

* ა. ღაბითიანის ეს წერილი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში. წერილი საინტერესოა, განსაკუთრებით — მასში წარმოდგენილი ენობრივი მასალა. იბეჭდება უცვლელად (რედ.).

უფრო, როცა ორივეს ამოსავლად ერთიდაიგივე ობიექტი ჩანს.

სვანური გარკვევით არჩევს თვითონ თვალისა და ყურის გარეგანსა თუ შინაგან დანიშნულებას. დასახელებულია ორი თვალი და ორი ყური: ერთი გარეგანი — ჩვეულებრივი თვალი და ერთი შინაგანი, ანუ გონებრივი თვალი. ასევე ერთი ჩვეულებრივი ყურები და ერთი ე. წ. გულის ყურები. სვანები გულის ყურებზე რეალურადაც უთითებენ. ესაა გულისთავთან ორივე მხრით მოთავსებული მორჩები — ყურები, რომლებსაც ჩვეულებრივად სჭრიან სახორცე საქონელს იმ რწმენის საფუძველზე, რომ გულის ყურების მჭამელს მესხიერება თითქოს დაუზიანდება და საერთოდ გონება დაუჩლუნგდებაო.

ამგვარად ობიექტის გარეგანი გამოხატულების ამსახავ სიტყვებს პირობით სუსტი ასახვის სიტყვები შეიძლება ეწოდოს, რამდენადაც ამათუიმ სიზუსტით გადმოსცემენ სვანურობასა და რეალურ მოქმედება-მოძრაობას სიტყვა-წარმოების მთელს მანძილზე. ესა თუ ის სახოვანი სიტყვა რეალურად ემყარება ობიექტს, მის რაობას მეორეულის სახით ავლენს ისე, როგორც ის გადატეხილია მოსაუბრის აზროვნებაში. ობიექტის ანარეკლი, მისი რამდენადმე ზუსტი შედარებითი სახე-სიტყვა მეტყველების ასპარეზზე იშლება. ამავ დროს ამათუიმ სიტყვის ობიექტური სახეობაც არ იხსნება, რჩება საფუძველში აზროვნებისა და სვანური წარმოდგენის ერთობლივი განვითარების მთელს მანძილზე.

როგორც აღნიშნულია ამ სახოვანი სიტყვების ამოსავალი ფუძე-ძირი ხშირად ორი მიმართულებით იშლება ხმაბაძვითისა და სახოვანი სიტყვების ხაზით და გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიას იგუებს. მაგალითად სვანურის რომელიმე სიტყვა „ბიჩხ“ ერთი მნიშვნელობით ხმაბაძვითია და გაშლილი თითით დარტყმის ხმას გადმოსცემს, მეორე მნიშვნელობის გადმოსაცემად კი უკვე პირიანი ზმნაა და გაფარჩხული თითის სახეს ქმნის. ამ მნიშვნელობით სვანურად მოლაპარაკეს ასეთი წარმოუდგება: ბარკლებ- ან ფეხებგაფარჩხული ქალი, ან კიდევ დაკლული ღორი, თხა, ცხვარი, დათვი, მუცელ-მკერდ გახსნილი, გამოშვიგნული, ხერხემლის ორივე მხრით შეჩხილი და გვერდებგაწეული, დაკიდებული ან გულაღმა დაწვენილი, ანდა კიდევ უფრო კონკრეტულად იგივე დათვის თათი თუ ადამიანის გაფარჩხული ხელი. ამგვარად, **ბიჩხ** სიტყვის სახოვანობისთვის ძირითადში ამოსავალია რეალური თათი ან ხელი; ხოლო გადატანითს მნიშვნელობაში იგივე თათი ან ხელი, მასთან დაკლული წვრილი ოთხფეხის ერთგვარ მდგომარეობაში გარეგანი გამოხატულების სახეობაზედაც მიუთითებს.

ნახმაბაძვითარ სახოვან სიტყვათა გვერდით მხოლოდ გარეგანი გამოხატულების სიტყვებიც გვხვდება, რომლებიც, როგორც წესი უღლებას ეგუებიან.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

გვირ	— თავმრგვალად ჩანს
ბიჭ	— დაბჭენილია
ტვირ	— თავმოტვლებილია
ჭღვირ	— დაჭღურულია
ჭყვირ	— დაჭყანულია

მოტანილი მაგალითები გარკვევით მიუთითებენ ამათუიმ გარეგან სახეობაზე. თვითეული მათგანი გარკვეულ ობიექტს ემყარება და ამდენად დოკუმენტირებული შინაარსის მატარებელია. ასე, მაგალითად, **გვირ** პირიანი ზმნის ამოსავალი ძირი **გურ, გურა** — თავმრგვალი, კვერცხი, ძირისნაირი მოყვანილობის მთას ეწოდება ან კიდევ გადატანით მოკრეჭილი თავი, **გურ კეცენ** უფხო ხორბლის თავთავი, **ბიჭ** ჯონისნაირად დაბიჭვებულის სახეობაა; **ტვირ** ზმნის ამოსავალი **ტურ, ტურა — ტურ ცხვი** — მრგვალ უფეხო ტყვიას ეწოდება, **ტურა თხვიმ** — უთმო, მოტვლეპილი თავის წარმოდგენას იძლევა და სხვ.

სახოვანი სიტყვები ამათუიმ სახით ცალკეულ ობიექტურ ერთეულებს უკავშირდება. ასეთი ერთეულები მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ენობრივ მონაცემში, თვითონ ადამიანის სხეულის აღნაგობა, სხეულის ნაწილები და ამ ნაწილების ნაწილებიც აქტიურობენ სიტყვების ამათუიმ სახით გადმოცემაში. თავისებური გამოვლინებით შეიძლება დახასიათდენ: **თავი** და თავის ნაწილები: **თავის ქალა, თვალი, შუბლი, ყური, პირი, ბაგეები, კბილები; ყელ-კისერი, მკერდი, მუცელი, ბარკლები, ფეხები, ხელები** და ა. შ.

თვითეული ნაწილი დაკავშირებულია მისი წიაღიდან გამოვლინებულ სიტყვასთან, რომელიც ამათუიმ გაფორმებაში არაა მისგან მოწყვეტილი და შინაარსდაკარგული, ამ შინაარსს ესათუის სიტყვა თან აატარებს რეალური, დოკუმენტირებული მასალით. სიტყვა გამოხატავს ან მთელს, მაგალითად, ადამიანის აღნაგობას, ან სხეულის ცალკე ნაწილს, ქვენაწილს, ტანსაცმლის მოყვანილობას და სხვადასხვა მოვლენა-მოძრაობის სახით. ამ საფუძველზე სვანურში მარტივად იხსნება მთელი რიგი სიტყვების რაობა და მეორეული გააზრება.

ადამიანის აღნაგობის საერთო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ბრიღ, მებრიღ, ბრანღი ბრანღალ: დიდი აღნაგობის მამაკაცი
გვლიჰ, მუგვლიჰ, გვლანჰი, გვანჰალ: სავსე ტანის სრული ქალი
გლიგ, მგვლიგ, გლანგ, განგალ: დიდი, ახმახი, მაღალი კაცი
ტკინჰ, მტკინ, ტკინჰ, ტკანჩალ: მკვრივი ტანის, ხორცსავსე ქალი

ს ა ხ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ო ბ ა

შხირჰ, მუშხირ: ღია და დიდი სახის ქალზე იტყვიან
ჩქვირჰ, მუჩქვირ: დაახლოებით ასეთივე სახის კაცი
ჭგილჰ, მჭგილ: ურცხვი, განყენებული გამოხედვის კაცი

შ უ ბ ლ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ო ბ ა

შვიბჰ, მუშვიბ, შუბარ: მაღალი და ვიწრო შუბლიანი (ქალი)
ბიგვჰ, მუბიგვ, ბანგვ: შუბლგამოწული უფრო წარბებთან
შკვიფჰ, მუშკვიფ, შკვანფჰ, შკვამფალ: შუბლდიდა, მაღალშუბლიანი

ყ უ რ ე ბ ი

პრიტჰ, მებრიტ, პრანტიჰ, პრანტალ: აწეული, პანტურა ყურები
რიჭვჰ, მგრიჭვ, რანჭვიან: ყურცქვიტა, ყურებაცქვეტილი
ფრითჰ, მგფრით, ფრანთიჰ, ფრანთალ: ფართოყურებიანი

თ ვ ა ლ ე ბ ი

ღვირპ, მუღვირ: ფართო, სანდომიანთვალეზიანი (ქალი)
სყვირპ, მუსყვირ: წვრილ მახვილ თვალეზიანი
შყვირპ, მგშყვირ, რანშყალ: მსხვილ დაშტერებულ თვალეზიანი

ბ ა გ ე - პ ი რ ი

პლირპ || პილირპ, მგპლირ: დიდტუჩებიანი
პლივპ || პილივპ, მგპლივ: ტუჩდავარდნილი
პინრპ || მუშინრპ, შანრპ, მურა-არ, მანრვალ: ტუბერგამობერილი

კ ბ ი ლ ე ბ ი

გიჯპ, მგგიჯ: კბილებდაბალი, კბილამოუსვლელი
კლიტპ, მგკლიტ, კლტპ: კბილებკრეჭია
ხინტპ, მგხინტ, ხანტქალ: უშნო მალალ კბილებიანი

ე ნ ა

გლიდპ || გილიდპ, მგგლიდ: დიდი და სქელენიანი
ქლითპ || ქილითპ, მგქლით: ენის დიდზე გამომყოფი

ყ ე ლ ი

გიტპ, მგგიტ: მალალკისრიანი
ყილშპ || ყილშპ, მგყილშ: დიდყელა, ყელთეთრა
ყილიტპ || ყიტიტპ, მგყილიტ || მგყიტი: მალალყელიანი

კ ი ს ე რ ი

ღვირპ, ღვირპი, მუღვირ, ღვირპი: დაბალ-მსხვილკისრიანი
ღვირპ, ღვირპი, მუღვირ, ღვირპი: „ „ „
წუღვირ, წუღვირ, წუღვირ, მუწვირ: წვრილი და მალალკისრიანი

გ უ ლ მ კ ე რ დ ი

ბლიტპ, ბრანტპ, მგბლიტ: მკერდგადელილი
დლიტპ, დლიტარ || დდეღელი, მგდელი: გამოწეულმკერდიანი
ლიტპ, დლიტარ, მგლიტ: ზომასზე მეტი განვითარებულ მკერდიანი

მ უ ც ე ლ ი

ბიდპ, მგბიდ: მუცელგაბერილი
ბიუპ, ბიუპარ, მგბიუ || მგბრიუ: მუცელგაბეყილი
შილპ, შილერ, მგშილ: ფართომუცლიანი

ბ ა რ კ ლ ე ბ ი

ბრიკპ, მგბრიკ: ბარკლებროკა

ბრიჭ, მებრიჭ: ბარკლებგანიერი

სახოვანი სატყეების წარმოების ასპარეზი სვანურ მეტყველებაში ფართოდაა გაშლილი. აღსანიშნავია, რომ სიტყვის ძირითადი სახე ყველგან შეინიშნება. ამგვარად მხოლოდ ადამიანის გარეგნობით არ შემოიფარგლება და საერთოდ სულიერ სამყაროში ობიექტებსა და მათი მოძრაობა-მოქმედების თავისებურებებს მოიცავს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

თვრის, თვრიჩ: გრძელ ფაფუკ კულზე, გრძელ ტანისამოსზე მიუთითებს

ბიგვ: ამობურცულ ადგილზე მიუთითებს

ყვიყვ: დაყუყულ ფრინველზე ითქმის

ღივ: ყვითელ-მზინავ ფერზე მიუთითებს

ფხიჭ: ცალკეულად ამომგერილია რამე

პვიპვ: აფოფხილი დიდი ფრინველი ზის

პიჭ: დაბალი, ხშირშტოიანი ნაძვი დვას და ა. შ.

ამასთან შეინიშნება თითქოს სახოვანი სიტყვების შემადგენელი ბგერების თანაშეფარდება მათს მნიშვნელობას შეესაბამება ასე თუ ისე. მაგ., მყდერი კომპლექსები თითქოს უკავშირდება მოცულობით უფრო დიდ ობიექტებს, ყრუ კომპლექსები კი პატარას.

გადამეტებული სიდიდის მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

მგბიდლ ყინა: დიდბურტყლოვანი ძერა

მუწვიპვ ვერბ. მოფხვერილი ორბი

პვიპვი შარე: არამალალი, მსხვილი კაცი

მგვლივ: გადამეტებული სიმაღლის (კაცი)

გვრიდუ ბეფშ: მსუქანი ჭარბხორციანი ბავშვი

მუჩვიჩვ პილარ: გადამეტებული სიდიდის ბაგეები

გადამეტებული სიმცირის მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ბ-პ: მგპიტყ შარე: პატარა მსუბუქი ტანის, ჩქარი მოძრაობის კაცი

კ-კ: მუკვიკვ ჩილედვ: პატარა ცუბრი

გ-დ → კ-ტ: კვრიტა ბეფშ: პატარა ტანსავე ბავშვი

გ-გ კ → კ: მგკლიკ დინა: პატარა, გონებამახვილი გოგო

გამოდის, რომ სიტყვის შინაარსობრივ თავისებურებაში გადამწყვეტი ჩანს თავკიდური თანხმონის ბოლოკიდურთან ურთიერთობა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

სიდიდისათვის	სიმცირისათვის
ბ-ბ: ბიდღ	პიტყ
გ-კ: გლიგ	კლიკ
გ-დ: გვრიდ	კვრიტ
დ-ჟ: დვიდვ	ჟვიჟვ
დ-ტ: დვრიმ	ტვრიმ
„ დვირ	ტვირ

აქ მოტანილი სიტყვები სახელებს უკავშირდებიან და ამდენად ყველა ბრუნვე-ბადია, ე. ი. გარკვეული სუფიქს-პრეფიქსიანი სიტყვა თუ იბრუნება, აგრეთვე იბრუნება ცალკე **მუ, მგ** პრეფიქსიანი და ცალკე **პ, აღ, პრ** სუფიქსიანი სიტყვებიც.

სახოვან სიტყვათა ძირები ერთ შემთხვევაში სიტყვა-წარმოების აფიქსების, მაგ., **ი** სუფიქსის დართვით ქმნიან ბრუნვად სახელებს (ასეთია **ძვიდვ** → **ძვიდვი**, **წვიპვ** → **წვიპვი**, **კვიკვ** → **კვიკვი**). მეორე შემთხვევაში კი სიტყვა-წარმოების აფიქსთა გარეშე იგივე ძირეული მასალა პირიანი ზმნის ფორმასა და შინაარსს გადმოსცემს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

მგ- ბიდღ	→	ბიდღ
დღიღლ	→	დღიღლ
შვიპარ	→	შვიპ

სახოვანი სიტყვების უფლება, როგორც წესი, ძირეულ მასალას უკავშირდება, სადაც ბგერათა რაოდენობა ცვალებადია:

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

- ბ:** ბიდღ, ბიღვ, ბიდღ, ბიტვ, ბიყ, ბიყვ, ბინხ, ბიჭყ, ბლიბ, ბლიტ, ბლიყ, ბლიყვ, ბლიშ, ბლიჰ, ბღიღლ...
- გ:** გვიბ, გვიგვ, გვლიგვ, გვლიდ, გვლიჰ, გვრიდ, გიბ, გიდ, გლიღლ, გით, გითხ, გიღ, გიჭ, გლიჭ, გლიბ, გლივ, გრიდ, გრინ
- დ:** დვიდღვ, დრიზ, დრიგ, დრიზ, დღიღლ, დღივ, დღიბ...
- ზ:** ზვლიყვ, ზვირ, ზიკ, ზიტყ, ზინ, ზლივ, ზრიგ, ზვიჰ
- თ:** თვითქვ, თვთინვ, თვრის, თვრინ, თირ, თხივ, თხლიჰ
- კ:** კვიზ, კვიკვ, კვრიტ, კივ, კიჭ, კლივ, კლიკ, კლიჭ
- ლ:** ლიგვ, ლიბ, ლიტ, ლიტყ, ლიფ, ლიქ, ლიდ, ლინ, ლინხ
- მ:** მიგვ, მიკვ, მიღვ, მიყვ, მინ, მინგ, მიჭყ, მივგ
- პ:** პიტყ, პიტყვ, პინვ, პლივ, პლირ, პლინვ, პრიტ, პყივ
- ჟ:** ჟვირ, ჟიბ, ჟიჟღ, ჟინ, ჟლიყ, ჟლინ, ჟღიბ, ჟღირ
- რ:** რიგვ, რისტ, რიტ, რიქ, რინ, რიღვ, რიშვ
- ს:** სგვიჭ, სიტ, სტვიფ, სკვინ, სყვირ
- ტ:** ტვიტვ, ტირ, ტიტ, ტკირ, ტყივ, ტყლივ, ტრიკ

ფ: ფიგ, ფითხ, ფიგ, ფლით, ფრის, ფრით, ფხიკ, ფხიჭ
 ქ: ქვიზ, ქვიჭ, ქვრით, ქიზ. ქით, ქლივ, ქლით
 ღ: ღვიბ, ღვირ, ღვიღვ, ღვიჩ, ღვიჭ, ღვლიჩ, ღივ, ღილ, ღიტ, ღიპ, ღილ, ღიჭვ, ღიჭ, ღლიკ
 ყ: ყვიბ, ყვიგ, ყვირ, ყვიტ, ყვიყვ, ყვიჭ, ყვიტ, ყიგ, ყლიგ, ყლივ, ყლიტ, ყლიფ, ყლიშ, ყლიპ, ყლიბ
 შ: შდიგ, შდიკ, შვით, შიგ, შილ, შკვიფ, შკიფ, შლიგ, შლივ, შტივ, შტირ, შუიჩ, შხირ
 ჩ: ჩვიჩგ, ჩვირ, ჩვიხვ, ჩვიტვ, ჩვრით, ჩიჩ, ჩლივ, ჩლით, ჩრით, ჩრის, ჩქვირ, ჩხიკ, ჩხვირ, ჩლიჩ
 ც: ცვიყვ, ცივ, ციკ, ცხიც, ცვირ, ცვიბ
 ძ: ძვიღვ, ძღვირ, ძლიკ
 წ: წვიღვ, წკვირ, წყვირ
 ჭ: ჭვირ, ჭვიტ, ჭიფხ, ჭყვირ, ჭყვიფ, ჭყირ
 ხ: ხით, ხიპ, ხიჭვ, ხიხ, ხლიგ, ხლით
 გ: გვის, გვიჩ, გვიტვ, გიპ
 ჯ: ჯვიჭვ, ჯვიყვ, ჯვრიდ, ჯიჭკ, ჯიყ, ჯლიყ, ჯლიდ, ჯღვირ, ჯვიკვ, ჯრიგ
 ჰ: ჰიპ

მოტანილ ნიმუშებში **ნ** ბგერა სიტყვის თავში არსად ჩანს. დანარჩენ თანხმოვანთაგან **ბ, გ, ღ, ყ, შ, ჩ** მაქსიმალური სიხშირით ვლინდება. **ჰ, ძ, წ** კი ყველაზე იშვიათია. მასალა წარმოდგენილია აწმყო დროის, მხოლოდობით რიცხვის მესამე პირში. ყველა ეს ზმნა პირნაკლი ჩანს. ზოგ მათგანში, სახელდობრ **ი** ხმოვნიან ზმნებში პირველი პირის **გ** ნიშანი მეტად სუსტად ისმის და ზოგში, სახელდობრ იქ, სადაც ფუძის თავკიდურ ბგერას მოსდევს და ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის, ზმნა სამსავე პირში უნიშნოა. ეს ფონეტიკური ცვლა ზმნის შინაარსზე გავლენას არ ახდენს.

სვანურისათვის დამახასიათებელ ინკლუზიურ **ლი-** პრეფიქსს **ლგ** გამოხატავს, ხოლო ექსკლუზიურ **ხგ-** პრეფიქსის ნაცვლად შემორჩენილი **ვ** ჩანს იმავე **ი** ხმოვნიან სიტყვებში. თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ნამყო დროის მრავლობით რიცხვში ბოლოკიდურის მეზობლად **გ** ელემენტი ჩნდება იმავე **ი** ხმოვნიან სიტყვებში, რომელსაც **უ** ხმოვანი ცვლის თუ ზმნა სრულ პირნაკლობას განიცდის. სამაგიეროდ მყოფადში პირველ ორ დროსთან შედარებით ინკლუზივ-ექსკლუზიური ფლექსიები სრულადაა მოცემული. სვანური ენის ჩვეულებრივად დამახასიათებელი **ხვი||ხვიზ, ხი||ხიზ** პირველსა და მეორე პირში სუბ. პირის ნიშნებს ფარავს. მესამე პირში **ი** ნიშანი ან **გ** უცვლელია. თუ **ხვი, ხი** მეშველებს მესამე პირში ჩვეულებრივად **ლი||ლიზ** უპასუხებს, სავარაუდოა, რომ **ი : გ** პრეფიქსები შეკვეცილია და მათი **ლ** ნიშნით შევსებით მესამე მეშველიც სრულად გამოვლინდებოდა, რაც ახლა მნიშვნელობა დაკარგული ჩანს, ხოლო **ლი** პრეფიქსი კი მთლიანი სახით საწყისისთვისაა გამოყენებული. ამ ვარაუდს შეიძლება მხარი დაუჭიროს ორიოდ სიტყვაში **ლი** ფორმის დღემდე შემორჩენამ სრული სახით. მაგალითად:

ხვი, ხი, ლი || ხვიზ, ხიზ, ლიზ: ვარ, ხარ, არის

ხვუგ, ხგგ, ლგგ: ვდგავარ, დგახარ, დგას
ლახვემ, ლახემ, ლადემ: ვჭამე, ჭამე, ჭამა

ამგვარად სახვოვანი სიტყვები ძირითადად ფუძის უღლებას ამჟღავნებენ და რიგ შემთხვევაში მეშველ ზმნას ან არ მიმართავენ ან შეზღუდვენ ანდა მეტად დახვეწილი სახით იყენებენ. ეს კი საერთოდ უღლების სხვა ვითარებაში ნაკლებად მოსალოდნელია.

უღლების მაგალითები
ბიხს გაფარჩხული ჩანს (თარგმანი პირობითია)

პირი	აწმყო	პირი	ნამყო	პირი	მყოფადი
	მხოლობითი		მხოლობითი		მხოლობითი
1 მი	ბჰიხს	1	ბჰიხსგდ (ბჰიხსდ იშვიათად)	1	ხვიბიხსი
2 სი	ბიხს	2	ბიხსგდ (ბიხსდ იშვიათად)	2	ხიბიხსი
3 ეჭი ჯი	ბიხს	3	ბიხსგდ	3	იბიხსი

მრავლობითი რიცხვი

1 ნა	ლგბიხსდ ბჰიხსდ	1	ლგბიხსგდ ბჰიხსგდ	1	ხვიბიხსიდ ლობიხსიდ
2 სგა	ბიხსდ	2	ბიხსგდ	2	ხიბიხსიდ
3 ეჭიარ მინ	ბიხსხ	3	ბიხსგდხ	3	იბიხსიხ

უღლების მაგალითები
გლიგ უშნოდ მაღალი ჩანს

პირი	აწმყო	პირი	ნამყო	პირი	მყოფადი
	მხოლობითი		მხოლობითი		მხოლობითი
1 მი	გჰლიგ	1	გჰლიგგდ გჰლიგდ იშვიათად	1	ხვიგლიგი
2 სი	გლიგ	2	გლიგგდ გლიგდ	2	ხიგლიგი
3 ეჭი ჯი	გლიგ	3	გლიგგდ	3	იგლიგი

მრავლობითი რიცხვი

1	ლგგლიგდ გჰლიგდ	1	ლგგლიგგდ გჰლიგგდ	1	ლიგლიგიდ ხვიგლიგიდ
2	გლიგდ	2	გლიგგდ	2	ხიგლიგიდ
3	გლიგხ	3	გლიგგდხ	3	იგლიგიხ

ყვიყვი: დაყუყულო ჩანს

1	ყვიყვი	1	ყვიყვიდ	1	ხვიყვი
2	ყვიყვი	2	ყვიყვიდ	2	ხიყვი
3	ყვიყვი	3	ყვიყვიდ	3	იყვი

მრავლობითი რიცხვი

1	ლუყვიყვიდ	1	ლუყვიყვიდ	1	ლიყვი
2	ყვიყვიდ	2	ყვიყვიდ	2	ხვიყვი
3	ყვიყვიდ (ბრძან.)	2	ყვიყვიდ	2	ხიყვი
3	ყვიყვიდ	3	ყვიყვიდ	3	იყვი

როგორც ნათქვამია, სახოვანი სიტყვების ძირეულ მასალაში **ი** ხმოვანია გამეფებული. იგივე **ი** უღლებაშიც თანაბრად აქტიურია. სხვა ხმოვნებიდან რამდენიმე ზმნაში **ა** ხმოვანიც ვლინდება და უღლების კანონზომიერების წესრიგს იგუბს. ამ სიტყვების რიგს ეკუთვნის, მაგალითად:

ტვარ ანთია, **კარ** ღიაა, **კვარ** დაგდებულია

პირი	დრო	პირი	დრო	პირი	დრო
	აწმყო		ნამყო		მყოფადი
	მხოლობითი		მხოლობითი		მხოლობითი
1 მი	ტვარ	1	ტვარდ	1	ხვეტვრი
2 სი	ტვარ	2	ტვარდ	2	ხეტვრი
3 ეჯო ჯი	ტვარ	3	ტვარდ	3	ხეტვრი

მრავლობითი რიცხვი

1	ტვარდ ლვტვარდ	1	ტვარდდ ლავტვარდდ ხვატვარდდ	1	ლვტვრიდ ხვეტვრიდ
2	ტვარდ ხავტვარდ	2	ტვარდდ ხავტვარდდ	2	ხეტვრიდ
3	ტვარხ ხავტვარხ	3	ტვარდდ ხავტვარდდ	3	ხეტვრიხ

კარ: ღიაა

1 მი	კარ	1	კარდ	1	ხვიკრი
2 სი	კარ	2	კარდ	2	ხიკრი
3 ეჯი ჯი	კარ	3	კარდ	3	იკრი

მრავლობითი რიცხვი

1	კარდ	1	კარდდ	1	ხვიკრიდ
2	ლვკარდ	2	ლვკარდდ	2	ლიკრიდ
3	კარდ	2	კარდდ	2	ხიკრიდ
3	კარხ	3	კარდდ	3	იკრიდ

**კვარ: გღია
მხოლოდითი რიცხვი**

1	კვარ	1	კვარდ	1	ხვეკვრი ხვეკვარი
2	კვარ	2	კვარდ	2	ხეკვრი ხეკვარი
3	კვარ	3	კვარხ	3	ხეკვრი ხეკვარი

მრავლობითი რიცხვი

1	კვარდ	1	ლგკვარდდ კვარდდ	1	ხვეკვრიდ ლევკვრიდ ხვეკვარიდ ლევკვარიდ
2	კვარდ	2	კვარდდ	2	ხეკვარიდ ხეკვრიდ
3	კვარხ	3	კვარდხ	3	ხეკვარის ხეკვრის

მნიშვნელოვანია, რომ სახოვანი სიტყვები საწყისადაც ყალიბდება. შინაარსობრივად სხვაობა კი ჩანს ამ შემთხვევაშიც. საწყისს სვანურში ჩვეულებრივად უფრო მეტად **ლი** პრეფიქსი აწარმოებს სათანადო სუფიქსითურთ. სახოვან სიტყვათა ერთი წყება კი საწყისს მხოლოდ **ლი** ნიშნით ავლენს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

- ლიფიგ იშენემ მადენაშ:** ფეხებგაშლით დაჯდომა სხვის ქონებაზე
- ლიტვიტვ მერი დადაშ:** დანაოჭებულად ჯდომა დედაბრისა
- ლიტვიტვ ჟინაშ:** აფოფხებულად ჯდომა ძერასი

ამნაირი საწყისები მოქმედებას თითქოს მხოლოდ სუბიექტით ამოსწურავენ. ეს სახოვან სიტყვათა დამახასიათებელია ისე, როგორც ამას ვხედავთ ნასახელარ საწყისებში

- კან- ლიკან:** ხარობა
- ფჷირ- ლიფურ:** ძროხობა
- ფუსდ- ლიფუსდ:** პატრონობა

სახოვანთაგან განსხვავებით ნახმაბაძვითარ სიტყვებს **ლი** პრეფიქსთან ერთად **ი** სუფიქსი დაერთვის. ეს შეინიშნება კერძოდ სუბიექტური მნიშვნელობის საწყისებში.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

- ლიბლი კადვლისგაშ:** ხმის გადენით დარტყმა მუცელში

ლირსტი თხუმლექვა: მაგარის ძლიერად დაკვრა თავში

ლიტტი ტეტიშ: ხმის გადენით დარტყმა ხელისა

ნაირსახეობაში ჩანს საწყისთა გაშლა სახოვან ფუძე-ძირებისაგან. ერთ შემთხვევაში ისინი მრავალგზისობას გადმოსცემენ **პლ** ბოლოსართის მეშვეობით:

ლიფიგან-პლ: ფეხების განიერად გადგმით სვლა

ლი-ლილან-პლ: დიდ მკერდმუცლიანის მოძრაობა

ლი-ჭვიჭვიან-პლ: დანაოჭებულნიანის მოძრაობა

ელ ა ხმოვნიანი ძირეულიც მრავალგზისობას ავლენს. მისი დამახასიათებელი სუფიქსია:

ლი-ფაჟ-ელ

ლი-ჭვაჭვ-ელ

ლი-პვაპვ-ელ

მეორე ვითარებაში სახოვანობის წარმოდგენას თითქოს ა ხმოვანი ჩრდილავს. აქაც სავარაუდოა, რომ ეს ფორმა **ფიჟ-ფაჟ**, **პვიპვ-პვაპვ**, **ჭვიჭვ-ჭვაჭვ** კომპოზიტის მეორე ნაწილს გულისხმობს ამოსავლად.

საწყისთა რიგს მიეკუთვნება იმავე **ლი**, **პლ** თავსართ-ბოლოსართის გარემოცვაში მოქმედი ფუძე. ამ შემთხვევაში **პლ** სუფიქსი მოქმედების დროულობასაც შეიცავს, თუმცა ეს დრო ზუსტ კონკრეტულობას თითქოს მოკლებულია:

ლი-ბიჩხ-პლ

ლი-ფიჟ-პლ

ლი-პვიპვ-პლ და სხვ.

წამოყენებული საწყისური ფორმები: **ლიბიჩხ**, **ლიბიჩხპლ**, **ლიბიჩხპლპლ** მოქმედებას სუბიექტურ ვითარებაში გადმოსცემენ. ძირის შემდაგენლობის მეორე ვითარებაში, როცა **ი** ხმოვანს **ა** ცვლის, **ალ** სუფიქსს **ელ** სუფიქსი ენაცვლება (ლიბაჩხელ, ლიფაჟელ, ლიჭვაპველ).

აღსანიშნავია, რომ სახოვან სიტყვათა ამოსავალი ან სრულხმოვნიანი ძირია:

ჩვიჩვ	სახოვანი მომდინარეობს	ჩუჩ	ძირისაგან:	ჩუჩი
გვირ	„ „	გურ	„	მრგვლოვანი
კვის	„ „	კუსუ	„	მოზარდი ნაძვი
ანდა ხმოვანნაცვალი:	ლიგვ	„	„	ლუგვ: ზოდი
	წკვირ	„	„	წკურუ: ჭუჭრუტანა
	თიგ	„	„	თგ: წვეტი

სახოვან სიტყვათა ფუძეს ახასიათებს საკმაოდ მძლავრი სუბსტიტუცია, რასაც შინაარსობრივი სხვაობის ნიუანსი შეაქვს

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ლიბ → **ბილ:** მუცელგაბედილია

გიო → **თიგ**: კისერაწეულია
ლილ → **ლილ**: ლულისნაირად ჩანს
ბიყვ → **ყვიბ**: გადამეტებით მოსჩანს
შტირ → **რისტ**: თვალეზღამტერებულია
შყირ → **რისყ**: თვალეზღამტერებულია და ა. შ.

მანძილზე ბგერათა გადასმის შემთხვევათა გარდა, გვხვდება უშუალო გადასმაც. ამ პროცესში ანლაუტის აქტიური მონაწილეობა ჩანს:

ბლიშ → **ბილშ**: მკერდგაღვლილი
ყლიშ → **ყილშ**: ყელთეთრა (შავ ფერზე)
ყლიპ → **ყილპ**: ყლაპია
გლის → **გილს**: გლესია

სახოვან სიტყვათა ძირი ჩვეულებრივ ორთანხმოვნიანია, მაგრამ არაა გამორიცხული სამთანხმოვნიანი და ოთხთანხმოვნიანიც: **ჩხვირ**, **ჭყვირ**, **ჭღვირ**. ძირში ადგილი აქვს **ლ** ინფიქსისა და იშვიათად **რ**-ს ჩამატებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

გიდ → **გლიდ**: უშნოდ ამართულია (მაგ. ბატი)
კიკ → **კლიკ**: გონება მახვილად დგას (ქალიშვილი, ფრინველი)
ყიტ → **ყლიტ**: ყელაწეულია უშნოდ (ფრინვ. ყელმადალი კაცი)
ჩიჩ → **ჩლიჩ**: (დაბალი ქალი) უშნოდ დაშვებულია (დაბალი უშნო აღნაგ. ფრ.)
ბიგ → **ბრიგ**: ფეხმაგრად დამდგარია
ბიდ → **ბრიდ**: გაბეღილი ჩანს

ინფიქსის ჩართვა მნიშვნელობას ძირითადად არ ცვლის, თუმცა თვისების ინტენსიობას გამოხატავს. მაგ., თუნდაც **ბიდ** → **ბრიდ** სიტყვების ურთიერთ მიმართებიდან გარკვევით იგრძნობა, რომ პირველი სიმცირეზე მიუთითებს და მეორე „ბრიდ“ კი დასრულებულობას გადმოსცემს. მარტივ ზმნებში **ლ**, **რ** ელემენტების მონაწილეობა არ დასტურდება. სიტყვათა მთელი რიგი ამ ორ ელემენტს არ საჭიროებს ან მათი უშუალო მეზობლობა აუტანელი ჩანს და ამდენად შინაარსის გარკვეულობა საგრძნობლად ბნელდება.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

თიგ: წერტილად დასობილისნაირად დგას
ტიტ: ნაფეხშიშვლარი ფეხების თითებგაბარჩხულია
ციც: თვალეზღამტერებულია

ორზე მეტი თანხმოვანი არანაკლები სიხშირით ვლინდება. კერძოდ სამ-თანხმოვნიანი სჭარბობს ოთხთანხმოვნიანს. გვხვდება გაორკეცებული ძირებიც:

ჟგოჟგ: დაყუყულო

კგოკგ: პატარა სიდიდის ჩანს

პგოპგ: გადამეტებული სიდიდით ჩანს (ფრინველი)

სახოვანი სიტყვების გამომხატველ ზმნებში თანხმოვნებიდან **გ, ნ** ბგერების წამყვანი მონაწილეობა არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში სიტყვის თავში **გ, ნ**-ს ვერ ვხედავთ. დანარჩენი ბგერები მეტნაკლებად აქტიურობენ. ესათუის თავკიდური ბგერა შესაბამის ბოლოკიდურს მოითხოვს. ზმნის ფუძე შეკუმშულიც არის და შეუკუმშველიც.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ა ნ ბ ა ნ თ რ ი გ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ

ბ
 ბ-გ: ბიგ ბრიგ
 ბ-ლ: ბილ —
 ბ-კ: — ბრიკ
 ბ-ღ: ბიღ → ბრიღ
 ბ-ღვ: ბიღვ —
 ბ-ყ: ბიყ ბრიყ
 ბ-ც: — ბრიც
 ბლ-შ: — ბლიშ
 ბ-ჭყ: ბიჭყ —

გრ-ნ: გრინ
 გ-ჯ: გიჯ, გლიჯ
 გ-ხ: გრინ

ღ
 ღრ-გ: ღრიგ.
 ღრ-ზ: ღრიზ
 ღ-ლ: ღილ
 ღღ-ლ: ღღილ
 ღღ-ბ: ღღიბ

ბ-ჩხ: ბიჩხ —
 ბ-ყვ: ბიყვ ბლიყვ
 ბ-დღ: ბიდღ —
 ბღ-ტ: — ბღიტ
 ბლ-ბ: — ბლიბ
 ბ-ჯგ: ბიჯგ —
 ბ-ჯვ: ბიჯვ —
 ბ-ჯვ: ბიჯვ —

ზ
 ზვ-გვ: ზვიგვ
 ზრ-გ: ზრიგ
 ზ-ყ: ზიყ, ზლიყ
 ზ-ყვ: ზვიყვ, ზვლიყვ
 ზვ-ჩ: ზვიჩ, ზვლიჩ
 ზვ-ზ: ზვიზ —
 ზვ-კვ: ზვიკვ, ზვლიკვ
 ზ-ჯ: ზიჯ, ზლიჯ

გ
 გ-ბ: გიბ გლიბ
 გ-გ: — გლიგ
 გვ-გვ: გვიგვ გვლიგვ
 გ-ღ: გიდ, გლიდ
 გვ-ღ: გვიღ, გვრიღ
 გვ-ზ: გვიზ, გვლიზ
 გ-თ: გით, გლით
 გ-თხ: გითხ
 გ-ფ: გიფ —
 გ-ს: გის, გლის
 გვ-ჩ: გვიჩ, გვლიჩ
 გვ-წ: გვიწ, გვლიწ

თ
 თ-გ: თიგ —
 თ-ლ: თილ —
 თ-კ: თიკ —
 თრ-ქ: — თრიქ
 თვ-ჩ: თვიჩ
 თვ-ხვ: თვიხვ
 თ-ყ: თიყ
 თრ-ხ: თრიხ
 თ-ჯ: თიჯ
 თვ-ს: თვის

კ

კ-თ: კით —
 კ-ქ: კიკ, კლიკ
 კვ-ზ: კვიზ — კვლიზ
 კვ-კვ: კვიკვ, კვლიკვ
 კვ-ტ: კვრიტ
 კ-ჭ: კიჭ — კლიჭ

ლ

ლ-თხ: ლითხ —
 ლ-პ: ლიპ — ლლიპ
 ლ-ყვ: ლიყვ —
 ლ-ჩ: ლიჩ —
 ლ-ჩხ: ლიჩხ —
 ლ-ჟლ: ლიჟლ —
 ლ-ჭყ: ლიჭყ —

მ

მ-გვ: მიგვ —
 მ-წვ: მიწვ —
 მ-ჩქვ: მიჩქვ —
 მ-ჩ: მიჩ —
 მ-ჩვ: მიჩვ —

პ

პ-ტყ: პიტყ —
 პრ-ტ: პრიტ
 პლ-ზვ: პლიზვ, პლიზ
 პლ-ჩ: პიჩ — პლიჩ
 პ-ტყვ: პიტყვ —

ჟ

ჟ-ჟ: ჟიჟ —
 ჟ-ჟლ: ჟიჟლ —
 ჟლ-ბ: ჟლიბ —
 ჟ-ტ: ჟიტ — ჟლიტ
 ჟ-წ: ჟიწ — ჟლიწ
 ჟ-პ: ჟიპ — ჟლიპ

რ

რ-ზვ: რიზვ —
 რ-სტ: რისტ —
 რ-ქ: რიქ —

რ-ლ: რილ; რილვ —
 რ-ჯ: რიჯ —

ს

სვ-ლ: სვილ
 ს-ტ: სიტ —

ტ

ტ-ტ: ტიტ —
 ტვ-ტვ: ტვიტვ —
 ტ-ფ: ტიფ —
 ტვ-ტვ: ტვიტვ —

ფ

ფ-გ: ფიგ —
 ფ-ფ: ფიფ — ფლიფ
 ფლ-ფ: ფლიფ —
 ფ-თ: ფლით —
 ფ-თხ: ფითხ —
 ფ-წ: ფიწ —

ქ

ქ-თ: ქით — ქლით
 ქლ-თ: ქლით
 ქვ-ჭ: ქვიჭ —
 ქვ-ს: ქვის — ქვლის
 ქვ-თ: ქვიით —

ღ

ღ-ბ: ღიბ —
 ღ-პ: ღიპ — ღლიპ
 ღ-ლ: ღილ —
 ღ-ჯგ: ღიჯგ —
 ღ-ლ: ღილ —
 ღ-ჭკ: ღიჭკ — ღლიჭკ
 ღვ-პ: ღვიპ — ღვლიპ
 ღვ-ბ: ღვიბ —
 ღვ-რ: ღვირ —
 ღვ-ვ: ღვივ —

ყ

ყ-ტ: ყიტ — ყლიტ

ყლ-ტ: ყლიტ
 ყვ-სგ: ყვისგ —
 ყვ-ტ: ყვიტ — ყვლიტ
 ყლ-ფ: ყლიფ —
 ყლ-ვ: ყლივ —
 ყ-შ: ყლიშ —
 ყლ-ჰ: ყლიჰ —
 ყვ-გ: ყვიგ —
 ყვ-ბ: ყვიბ —

შ

შ-ვ: შივ — შლივ
 შლ-ვ: შლივ
 შ-ლ: შილ —
 შ-თქ: შითქ —
 შვ-პ: შვიპ —
 შყ-რ: შყირ —
 შყ-ბ: შყვიბ, შყიბ — შყლიბ
 შტ-რ: შტირ —
 შხ-რ: შხირ —
 შვ-ტ: შვიტ —

ც

ც-კ: ციკ —
 ცვ-ყვ: ცვიყვ —
 ც-ც: ციც —
 ც-ქვ: ციქვ —

ჩ

ჩლ-თ: ჩლით —
 ჩლ-ჩ: ჩლიჩ —
 ჩ-ჩ: ჩიჩ — ჩლიჩ
 ჩ-თხ: ჩითხ —
 ჩვ-ჩვ: ჩვიჩვ —
 ჩვ-რ: ჩვირ —
 ჩხ-რ: ჩხვირ —
 ჩრ-ხ: ჩრიხ —

ძ

ძვ-ლ: ძვილ
 ძვ-ღვ: ძვიღვ
 ძლ-კ: ძლიკ — ძლილიკ
 ძლ-რ: ძღვირ

ძლ-კ: ძლიკ
 ძლ-რ: ძღვირ
 ძლ-კ: ძლილიკ

წ

წვ-ღვ: წვიღვ
 წ-ფხ: წიფხ
 წვ-ქვ: წვიქ

ჭ

ჭ-ფხ: ჭიფხ
 ჭვ-ჭვ: ჭვიჭვ
 ჭვ-რ: ჭვირ
 ჭყ-რ: ჭყვირ

ხ

ხ-გ: ხიგ
 ხლ-გ: ხლიგ
 ხ-თ: ხით
 ხლ-თ: ხლით
 ხ-ხ: ხიხ
 ხ-პ: ხიპ
 ხ-ჭკ: ხიჭკ

წ

წ-წ: წიწ
 წვ-ს: წვისს
 წვ-წვ: წვიწვ

ჭ

ჯლ-ღ: ჯლიღ
 ჯვ-ღვ: ჯვიღვ
 ჯვ-ღლ: ჯვიღლ
 ჯ-ყ: ჯიყ
 ჯლ-ყ: ჯლიყ
 ჯ-ღლ: ჯიღლ
 ჯ-ჭვ: ჯიჭვ
 ჯვ-ჭვ: ჯვიჭვ
 ჯრ-ღ: ჯრიღ
 ჯრ-ლ: ჯრილ
 ჯრ-გ: ჯრიგ
 ჯლ-გ: ჯლიგ
 ჯვ-ჭვ: ჯვილიჭვ

ზმნის შინაარსის ამოსავალია სიტყვა-საგნის ძირითადი მნიშვნელობა, რომლის სახეობით დერივაციას ქმნის. ამგვარად შევნიშნავთ ძირითადი და ნაწარმოები მნიშვნელობის დაპირისპირებას. ასეთია მაგალითად: **ხიჩქ, ხიჩქა, მგხიჩქ, ხანჩქალ, ლიხინჩქანალ, ლიხჩქე, ნახჩქი, ნავხიჩქი, ხანჩქვარ, ხანჩქუ** და სხვ. წარმოდგენილი სიტყვები ერთსადაიმევე შინაარსის ძირს სხვადასხვაგვარად გაფორმებაში ავლენს. დამახასიათებელ მოვლენათა წყება მხარს უჭერს იმას, რომ, როგორც ხმაბაძვითები ისე გარეგანი სახის გამომხატველი სიტყვები საგნისა თუ გარკვეული მოძრაობა-მოქმედების ზედმიწევნით გამოხატულებაა და ამდენად შინაარსის დაცვეთა თუ ხელოვნურობა თავიდან აცილებულია: საგანი ეფარდება მის მნიშვნელობას და სიტყვა ენაში გამძლეად გამოიყურება.

ბუნებრივია, რომ ხმაბაძვითი და სახოვანი ლექსიკა ხშირად არაესთეტიკურია თავისი შინაარსით და შორს დგას მაღალფარდოვანი ლიტერატურული სტილისგან, სამაგიეროდ მასში ვამჩნევთ სისადავეს და ბუნებრიობას. ყოველივე ამის საფუძველზე ხმაბაძვითებისა და სახოვანი სიტყვების ნამდვილი ბუნების გაგებაც ნიშნავს მხოლოდ მათ რეალურ გაგებას. სიტყვა აქაც წარმოდგენს ობიექტურ რეალობას.

მოტანილი ნიმუშები იმას მოწმობს, რომ ხმაბაძვითი და საგნის გარეგანი სახეობის გამომხატველი სიტყვები მეტყველებაში ამათუიმ თავისებურებით ვლინდებიან. ცოცხალი მოძრაობა-მოქმედებისა და საგნური სახეობის გამოვლინება იმდენად გარკვეულად ჩანს, რომ მოლაპარაკესა და მსმენელს სიტყვის თქმა-გაგონებასთან ერთად იმავე სიტყვის გარკვეული სახე თქმულის შინაგან რაობას გულისხმობს.

ხმაბაძვითი და სახოვანი სიტყვები მასიურადაა გამოყენებული სვანურში, ოდიდან მასობრივი შემოქმედების გამოვლენაა. დასასრულ ნახმაბაძვითარი და კერძოდ სახოვანი სიტყვების ჩვენს მიერ დაგროვილი რაოდენობა 3000 სიტყვას აღემატება სხვადასხვა კონტექსტში, რაც ჯერ კიდევ არ ამოსწურავს სვანურის სიმდიდრეს.

სახოვანი სიტყვების ანალიზის შედეგად დავასკვნით:

1. ხმაბაძვითებისა და საგნების გარეგანი სახეობის გამომხატველი სიტყვები რეალურად დაკავშირებულია საერთოდ ადამიანის მიერ ობიექტური მონაცემის აღქმულის შემეცნებასთან.

2. ამ სიტყვების საფუძველი რეალური საგანი და მისი მოძრაობა-მოქმედებაა.

3. ეს სიტყვები სვანურში ისევე ნელა და თითქმის უმნიშვნელოდ იცვლებიან, როგორც თვითონ ძველი სვანური ყოფა-ცხოვრებაც და მასთან დაკავშირებული ენაც.

4. ხმაბაძვითებსა და სახოვან სიტყვებს ახასიათებს ობიექტის გადამეტებული სიდიდით ან სიმცირით წარმოდგენა.

5. სახოვანი სიტყვები უღლების ნორმებს იცავენ, პირნაკლობასაც ეგუებიან და უნაკლობასაც.

6. სახოვანი სიტყვები საწყისებს თავისებურად აწარმოებენ.

7. სახოვანი სიტყვების ზმნურობას უმთავრესად **•** ხმოვანი აწარმოებს, რამდენიმე სიტყვაში **ა** ხმოვანიც მონაწილეობს, ხოლო **•** ხმოვნიანი სიტყვები

3 თანხმოდანთან ერთად უ ხმოვნის მონაცვლეობით სიტყვის სახელურ ძირზე მიუთითებს, ცალკე 4 ხმოვნადაც შეიძლება გადაიქცეს.

8. ხმაბაძვითი და სახოვანი სიტყვები ერთ შემთხვევაში გავონილი ხმის რომელობას გადმოსცემენ მიმბაძველობის საფუძველზე. მეორე შემთხვევაში კი სახოვანობა ჩვეულებრივი თვალთ ნახულის ასახვაა. ყური და თვალი გადამწყვეტია, როგორც ერთის, ისე მეორის გამოსავლინებლად.

9. ხმაბაძვითები და სახოვანი სიტყვები ერთადაც მოქმედებენ, პარალელურადაც და ცალცალკე თვალსაჩინო განსხვავებებით. ერთად მოქმედებენ, როცა ობიექტი ერთი რიგის წარმოებას გაჰყვება, პარალელურად, როცა ხმაბაძვითების სუფიქსები და სახოვანი სიტყვების სუფიქსები ერთიმეორის გვერდით იშლებიან მეტყველებაში და ცალცალკეც, როცა სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. ასეთი ვლინდება მაგ. კომპოზიტის წევრების წარმოებაში.

10. სახოვანი სიტყვების ძირითადი ამოსავალია ადამიანის აღნაგობა, ადამიანის სხეულის ნაწილები ყველა იმ გამოვლინებით, რისი გამოსახვაც მისაღები შეიძლება იყოს მეტყველებაში საზოგადოებრივი მოწონების საფუძველზე.

11. ხმაბაძვითი და სახოვანი სიტყვები კონკრეტული აზროვნებით საგან-მოძრაობის შინაარსს გამოხატავენ, იმავე დროს ეს სიტყვები ზოგადიც შეიძლება იყოს, რამდენადაც ენას ზოგადობა ახასიათებს.

12. სახოვანი სიტყვები ბგერათა გადასმის წესებს საცხებით ეგუებიან. იშვიათად პირუკუ შეწყობის თვისებაც აქვთ. სიტყვის მნიშვნელობა არც ისე იცვლება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ორთანხმოვნიანი ძირები სამ და მეტ თანხმოვნიანობას ლეზულობენ ლ, რ ბგერების ჩართვის შედეგად.

Legacy

ALI DAVITIANI

The Vocabulary connected with outward appearance of an object in Svan

Summary

The paper deals with the analysis of those lexical units of Svan, which characterizes an object according to outward appearance. The article, which is written in 1949, was found in the archive of the Institute.